

ენაზე დაფუძნებული დასწავლის სირთულის მქონე მოსწავლის
აკადემიური ჩართულობა ქართულის გაკვეთილზე

თეონა თარგამაძე

ხატია ცოცხალაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სპეციალური განათლების პროგრამა

კურსის ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თეონა თარგამაძე

ხატია ცოცხალაშვილი

20.06.2023.

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელიც ეხება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე ენაზე დაფუძნებული დასწავლის სირთულის მქონე (LLD – Language Learning Disability) მოსწავლის აკადემიურ ჩართულობას.

კვლევის მიზანია LLD-ის მქონე მოსწავლის სასკოლო სივრცეში იდენტიფიცირება, მისი ენობრივი უნარების შეფასება, შეფასების საფუძველზე შერჩეული ადაპტაციის ხერხების შეთავაზება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის; ასევე, ენობრივი უნარების გაუმჯობესების მიზნით, ინდივიდუალური ინტერვენციის სესიების დაგეგმვა, ჩატარება და მათი ეფექტურობის განსაზღვრა.

პრაქტიკის კვლევის პროცესში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი. კერძოდ: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ და დაკვირვება. რაც შეეხება კვლევისას გამოყენებულ ინსტრუმენტებს ესენია: დისლექსია/LLD-ის ადრეული ნიშნების საიდენტიფიკაციო „ჩეკლისტი“, ენობრივი უნარების შეფასების კითხვარი და გაკვეთილზე დაკვირვების რუბრიკა.

კვლევა მოიცავდა ოთხ ფაზას: დიაგნოსტიკური ფაზა, ინტერვენციის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება. კერძოდ, დიაგნოსტიკის ფაზა მოიცავდა, იდენტიფიცირებული LLD-ის მქონე მოსწავლის ენობრივი უნარების კითხვარით შეფასებასა და ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე დაკვირვებას. მიღებული მონაცემების საფუძველზე ადაპტაციის ხერხების შემუშავებას, მასწავლებლისთვის შეთავაზებას და ასევე, ინდივიდუალური ინტერვენციების დაგეგმვას. განხორციელების ფაზაზე მოხდა 3 თვის განმავლობაში ადაპტაციის ხერხების გამოყენება და კვირაში ერთხელ, 50-50 წუთიანი ინდივიდუალური ინტერვენციის სესიების ჩატარება. ხოლო, ბოლოს, შეფასების ეტაპზე მასწავლებლისთვის შეთავაზებული ადაპტაციის ხერხებისა და ინდივიდუალური ინტერვენციის სესიების შედეგების შეფასება.

პრაქტიკის კვლევამ აჩვენა განსხვავება ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდგომ მიღებულ მონაცემებში. კერძოდ, ადაპტაციის ხერხებმა და ინდივიდუალური ინტერვენციების სესიებმა გააუმჯობესა მოსწავლის ენობრივი უნარები და გაზარდა მისი ჩართულობა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: ენაზე დაფუძნებული სირთულე (LLD), პრაქტიკის კვლევა, ადაპტაციის ხერხები, ინდივიდუალური ინტერვენციის სესიები

Abstract

This work is a report of practice research, which refers to the academic involvement of a student with a language learning disability (LLD) in a Georgian language and literature class.

The purpose of the research is to identify the student with LLD in the school space, to evaluate his language skills, to propose adaptation methods selected on the basis of the evaluation to the teacher of Georgian language and literature; Also, in order to improve language skills, planning, conducting individual intervention sessions and determining their effectiveness.

In the process of practice research, we used the qualitative research method. Namely: semi-structured interview and observation. As for the tools used in the research, they are: Dyslexia/LLD Early Signs Identification Checklist, Language Skills Assessment Questionnaire and Lesson Observation Rubric.

The study included four phases: diagnostic phase, intervention planning, implementation and evaluation. In particular, the diagnosis phase included the assessment of the language skills of the identified LLD student with a questionnaire and the observation at the Georgian language and literature lesson. Based on the received data, developing ways of adaptation, offering to the teacher, and also planning individual interventions. During the implementation phase, adaptation techniques were used for 3 months and 50-50 minute individual intervention sessions were held once a week. And, finally, at the evaluation stage, evaluating the results of the adaptation methods and individual intervention sessions offered to the teacher.

The practice study showed differences in pre-intervention and post-intervention data. In particular, adaptation methods and individual intervention sessions improved the student's language skills and increased his engagement at the Georgian language and literature class.

Key words: Language Learning Disability (LLD), Practice research, Adaptation techniques, Individual intervention sessions

მადლობა

მადლობას ვუხდით კვლევის ხელმძღვანელს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ნინო ცინცაძეს გაწეული შრომისა და დახმარებისთვის. ასევე, ქალაქ თბილისის კლასიკურ გიმნაზიის ადმინისტრაციასა და მის წარმომადგენლებს, მესამე კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს თანამშრომლებისთვის.